სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030636463946013

KA030636463946013

12 / აპრილი / 2013 წ. თბილისი #06-56/ო

შ რ ო მ ი თ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს შ ე წ ყ ვ ე ტ ი ს ა ს გ ა ს ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე–3 პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ **-** ლ**.** საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) დასაქმებულთათვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას სავალდებულოა თანდართული ფორმა #1-ის (შემოვლის ბარათი) შევსება.
2. შევსებული ფორმა #1 (შემოვლის ბარათი) წარედგინება ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს და ამის შემდეგ ხდება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემა.
3. დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის აპარატს (ნ. გეგუჩაძე) არ დაუშვას ფორმა #1 -ის (შემოვლის ბარათი) შევსების გარეშე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება გამოსაცემად.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი კონსტანტინე ოჩიგავა.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური
დირექტორი

ამირან გამყრელიძე